



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 108

2016 წლის 7 ნოემბერი

ხაშური



„ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შეფასების თაობაზე“


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2016 წლის ნოემბრის თვეში გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად დაევალა 2016 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშის წარდგენა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დადებითად შეფასდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ“ (დანართი N1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15)

საკრებულოს თავმჯდომარე

ვაჟა შუბითიძე



ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წლის ათ თვეში გაწეული სამუშაოების შესახებ“

2016 წლის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ საკუთარ უფლებამოსილებათა შესაბამისად, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზებას.

2016 წელს სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა სხვადასხვა ფულადი დახმარების მუნიციპალური პროგრამა, რომელიც შეადგენს 938 800 ლარს. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 95 000 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 696 000 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 27 800 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 20 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 80 000 ლარი;

ვ) სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა - 20 000 ლარი;

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში სოციალურ სფეროს მოხმარდა 750 000 ლარი, სხვადასხვა ფორმით სოციალური დახმარება გაეწია 4500 -ზე მეტ პირს/ოჯახს.

მთლიან მოცულობაში მაღალი ხვედრითი წილი უკავია სიდარბის ზღვარს ქვემოთ მყოფი (მათ შორის დევნილი) ოჯახების დახმარებას. 2016 წლის განმავლობაში ამ კატეგორიამ მიიღო ფულადი დახმარება 300 ლარის ფარგლებში.

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში ასევე მნიშვნელოვანი წილი უკავია ხელმოკლე სტუდენტებისათვის გაწეულ დახმარებას. სწავლის ქირის თანადაფინანსებისათვის (800 ლარის ფარგლებში) 65 სტუდენტს შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხა 52000 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 147 ბენეფიციარს გაეწია 44 100 ლარის დახმარება.

44-მა თირკმლის დიალიზზე მყოფმა მოქალაქემ მიიღო დაფინანსება 22 000 ლარის ოდენობით.

დღის დღესთან დაკავშირებით 165 მრავალშვილიანმა დედამ მიიღო 55 900 ლარის ფულადი დახმარება. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტს შეემატა 22 მრავალშვილიანი ოჯახი. მათ გაეწიათ ფინანსური დახმარება 8200 ლარის ოდენობით.

გრძელდება სოციალური დახმარება გაწევა დედ-მამით ობოლ ბავშვებზე. დღის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ასეთი 10 ბავშვია. მათ მიიღეს დახმარება 7 300 ლარის ოდენობით.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამ შესაძლებელი გახადა გამონთავისუფლებული სახსრები სხვა მიმართულებებით გადანაწილებულიყო.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის დადებითი როლი ითამაშა მოზარდების სარეაბილიტაციო კურსის, ქრონიკული დაავადებების მქონე ავადმყოფების მედიკამენტების, ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების 2000 ლარის ფარგლებში ღონისძიებებმა, რასაც 277 251 ლარი მოხმარდა.

პარალელურად, გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის ცენტრის დაფინანსების, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები, რომლებიც 200 მოსწავლეზე ვრცელდება (48 000 ლარი).

გარდა ამისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 185 მოქალაქე სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით, რომლის დაფინანსება შეადგენს 80 000 ლარს. გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა;

მიმდინარე წელს დევნილ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს სადღესასწაულო დახმარება გაეწიათ შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით - 685 ოჯახს გადაეცა 34139 ლარის კვების პროდუქტების პაკეტი, ხოლო აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 680 ოჯახს 25160 ლარის, რამაც მთლიანად შეადგინა 59 299 ლარი.